ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის პირველი მოადგილის გიორგი ახვლედიანის საქმიანობის წლიური ანგარიში

თბილისი

2021-2022 წწ.

მოგეხსენებათ, რომ საკრებულო წარმოადგენს ქალაქის წარმომადგენლობით ორგანოს. სადაც, ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა ხდება როგორც საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ასევე - „საკრებულოს რეგლამენტით“.

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ვმონაწილეობდი საკრებულოს, ბიუროსა და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებში.

კომისიებში ჩემი აქტივობები:

- ✓ სარევიზიო კომისიის წევრი;
- ✓ სატრანსპორტო საკითხთა კომისიების წევრი.

ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვალია, ვუზრუნველყო მოქალაქეთა პრობლემატური საკითხების განხილვა და მათზე მყისიერი რეაგირება. მქონდეს მუდმივი კომუნიკაცია თბილისის მოსახლეობასთან და მათთან ერთად შევძლო ქალაქის პრობლემების ძირეული აღმოფხვრა.

საკრებულოს სხდომები

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 15 სხდომა, დავესწარი 14 სხდომას.

თბილისის საკრებულოს სხდომებზე მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი იქნა შემუშავებული და დამტკიცებული.

საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია:

- თბილისის ადმინიცტრაციულ საზღვრებში, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, ავტობუსების M2 და M3 კატეგორიის რიგ მარშრუტებზე მოძრავი ერთეულების რაოდენობა გაიზარდა.
- დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ ოჯახებს, ბინები სიმბოლურ ფასად გადაეცათ საკუთრებაში.
- სხვადასხვა რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტები დამტკიცდა.
- დედაქალაქში მიმდინარე პროექტები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამა.

ბიუროს სხდომები

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ბიურის 17 სხდომა, სადაც ჩემი და ჩემი კოლეგების ჩართულობით მოხდა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა.

კომისიის სხდომებზე განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია:

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“;
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადამყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის,

ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის, 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

- „ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;
- „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, თეთრი გიორგის ქუჩის გაგრძელების თაობაზე“;

სატრანსპორტო საკითხთა კომისია

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის 16 სხდომა, განხილულ იქნა 54 საკითხი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები. სადაც მონაწილეობა მიღებული მაქვს 12 სხდომაში, განხილულ იქნა 30 საკითხი.

კომისიის სხდომებზე განხილული საკითხებიდან მნიშვნელოვანია:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით

(მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213573-03; 22.12.2021);

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213142-03; 10.11.2021);
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321355186-03; 21.12.2021);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში

ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321355186-03; 21.12.2021);

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ,,თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემისშესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032202162-03; 24.01.2022);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M 3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M 2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა", საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-032207584-03;16.03.22).

სარევიზიო კომისია

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სარევიზიო კომისიის 16 სხდომა და განხილულ იქნა 55 საკითხი. დავესწარი 13 სხდომას, განხილულ იქნა 49 საკითხი.

აღნიშნული საკითხებიდან გაგაცნობთ რამდენიმეს:

- „მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძვნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“ (საკრებულოს - #07-032135823-03. 27.12.2021) ცნობის სახით;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2021 წლის შიდა აუდიტის წლიური ანგარიში (#15-03220265-03.26.01.2022), ცნობის სახით;
- ა(ა)იპ ქ.თბილისის №87-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;
- დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 დეკემბრიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (შემდგომში ფრაქცია) ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:
ქ. თბილისის მოსახლეობის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გარანტირებული უფლებების განხორციელების უზრუნველყოფა:

- ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების განხორციელების დამოუკიდებლობა, ადამიანის საყოველთაოდ აღიარბული უფლებებისა და თავსუფლების დაცვა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისას კანონის უზენასეობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დამკვიდრება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების პროგრამების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა;
- მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემის დანერგვის ხელშეწყობა.

აქვე წარმოგიდგენთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებზე განხილული საკითხებიდან რამდენიმეს, სულ ჩატარდა 23 სხდომა, განხილულ იქნა 42 საკითხი, დავესწარი 21 სხდომას, ჩემს მიერ განხილულ იქნა 38 საკითხი

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის საგენტოს საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შსახებ ანგარიშის მოსმენა;
- შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხილვა;
- ფრაქციის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ;
- ქაოტური განაშენიანების აღკვეთის გზების და უკანონო მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული, კანონიერი ბერკეტების შესახებ;
- ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის შესახებ;

- „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის ე.წ. სამშენებლო ამნისტიის განხილვა.

მოქალაქეებთან შეხვედრა

მოგეხსენებათ, ჩემი, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, პირველი მოადგილისა და ასევე კომისიების - „სარევიზიო კომისია“ და „სატრანსპორტო საკითხთა კომისიის“ წევრის ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, დედაქალაქის მოსახლეობასთან შეხვედრა, მათი პრობლემების იდენტიფიცირება, შესაბამისი კომიისა თუ სამსახურების ჩართვა სამუშაო პროცესში და მათი გადაჭრა.

ასევე, მიმდინარე წლის სამუშაო პერიოდში მქონდა შეხვედრა ათეულობით მოქალაქესთან. როგორც იცით, მოქალაქეთა მიღების დღედ განსაზღვრული მაქვს - ოთხშაბათი დღე. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქეთა მიღება ხდება ნებისმიერ სამუშაო დღეს.

გარდა უშუალო კომუნიკაციისა, ჩემი სამდივნო ახორციელებს მოქალაქეთა ზარების მონიტორინგს და შესაბამის შუამდგომლობას უწევს თითოეულ მათგანს თავიანთი საჭიროებიდან გამომდინარე, იქნება ეს რომელიმე რაიონული გამგეობა თუ მერიის საქალაქო სამსახური. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ვიყოთ ჩართულები მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების რითმში.

დასკვნა

ქ. თბილისისი მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩემი აქტივობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ✓ ჩატარებული საკრებულოს სხდომა - 14
- ✓ ბიუროს სხდომა - 17
- ✓ მიღებული განკარგულება - 649
- ✓ მიღებული დადგენილება - 113
- ✓ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ სხდომა - 21
  განხილული საკითხები - 38
- ✓ სატრანსპორტო კომისიის სხდომა -12
  განხილული საკითხები - 30
- ✓ სარევიზიო საკითხთა კომისიის სხდომა - 13
  განხილული საკითხები - 49

ასევე მინდა აღვნიშნო, მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა მუნიციპალიტეტის განვითარებისა და სტაბილიზაციის საკითხებში, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდი!

პატივისცემით,

გიორგი ახვლედიანი